AMBASSADORI

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდი“ ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე საზღვაო აკვატორიაში გეგმავს ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობის პროექტის განხორციელებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-2 დანართის მე-9 მუხლის, მე-13 ნაწილის შესაბამისად ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობის მიზნით დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს, სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას.

წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- ქ. ბათუმში, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე აკვატორიაში ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობის პროექტის სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები (shp ფაილების სახით) CD დისკზე;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“-ის რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

ფრიდონ ქათამაძე
შპს „ამბასადორი ბათუმი აილენდ“-ის დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„04“ 08 2022 წ.
№ 3818

03. 08. 2022 წ.